№ 106 მაისი 22, კვირა 1888 მაისი 22, კვირა № 106

**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 70 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ-ნ ხიდეველის სავაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888

კვირას, 22 მაისს, მუშტაიდის ბაღში დანიშნულია

**ს ე ი რ ნ ო ბ ა**

და

## ლატარია-ალლეგრი

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ.

სხვა ყოველიკე დაწვრილებით მოხსენებული იქნება აფიშებში.

(5—5)

**ორშაბათს, 23 მაისს,**

ბ-ნ ალნიაშვილის ქართული ხორო ქართულის დრამატიულის დასის არტისტების დახმარებით გამართავს პირველად პირველ ქართულ ფეერიას:

## ყარამანი

გადაკეთებული ხალხურის ყარამანიანიდგან სამს მოქმედებად და თერთმეტ სურათად.

სურათი 1. ყაფის დევთაგან ყარამანის მიწაზე ჩამოშვება; ექვს ფეხოვანის და ალმასის რქიანი რაშის გამოვარდნა.
სურათი 2. უშანგ შაჰისა და რაჰ ნდ ინდოეთის მეფის ბრძოლა; ყარამანისა და სარვ-ხურამანის ერთად შეყრა და გაარშიყება.
სურათი 3. ყარამანისა და სარვიხურამანის შეუღლება.
სურათი 4. ყარამანისაგან ყარუნ ხელმწიფის ჯადოთ დარღვევა და შამბასარ დევის მოკვლა.
სურათი 5. ბრძოლა ბალიირანის მეფისა, შაჰპალი ფერიისაა, აქვალ დევის ლაშქართან.
სურათი 6. შველა ყარამანისაგან ზორაბ ხელმწიფის შვილისა და ანყაფუზ დევის დამორჩილება.
სურათი 7. მისვლა ყამარანისა თეთრის დევის სასახლეში და თეთრის დევის მოკვლა.
სურათი 8. ბრძოლა ყარამანისა ზღვათა მეფესთან და ყარამალუხ დედოფლის განთავისუფლება.
სურათი 9. ჯადოთაგან უშანგ-შაჰის მიჯადოვება.
სურ. 10. ბრძოლა უშანგ-შაჰისა ოჰუალი ჯადოსთან და 30 მოწინააღმდეგე მეფეებთან; ყარამანის მოშველება.
სურ. 11. უშანგ-შაჰის მიცვალება და ანდერძი.

ამ ფეერიისათვის განგებ დამზადებულია ახალი ტანისამოსები, ზოგი ერთი ახალი დეკორაციები და ყოველის სურათისათვის ახალი მუსიკა ბ-ნ ბალანჩივაძისა.

ქართულს ხოროს ექნება 12 სხვადასხვა სასიმღერო ნომერი.

ორკესტრი დაუკრავს ბ-ნის ბალანჩივაძის პოპურის და სრულიად ახალს „ფანტაზიას“ მისსავე.

მონაწილეობას მიიღებს 180 კაცი. დადგმა ფეერისა დაჯდება 1,000 მან.

ბ-ნის ალნიაშვილის ფეერისათვის საღამოს 5 და 7 საათზე აუშვებენ ორს ჰაეროსტატს, ამერიკულს რეკლამას ბ-ნს მოგანცოსას, რომელიც მთელს ქალაქს მოჰფენს წვრილ-წვრილის განცხადებებით.

(4—4)

ტფილისი, 21 მაისი

ჩვენ თვალ-წინა გვაქვს წლიური ანგარიში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“, რომელიც აკერ 8—9 წელიწადია ჰმოქმედობს საქართველოში. ყოველს წელიწადს მაისის თვეში გადავფურცლავთ ხოლმე საზოგადოების წლიურს ანგარიშს და ყოველს წელიწადს თითქმის ერთსა და იმავე აზრს ჰბადავს მკითხველის გონებაში. რიგიანი წესდება და გონივრულის პედაგოგიის საძირკველზე აგებული პროგრამმა საზოგადოების ანგარიშის ყოველს სტრიქონიდგან გამოსჭვერს და გულს საამურად რჩება, კეთილი და ნაყოფიერი მოქმედება საზოგადოებისა მკითხველს იმედს უღვიძებს, მაგრამ ამასთან დახედეთ თვით საზოგადოების ხელ-მოკლეობასა! რვაცხრა წლის განმავლობაში საზოგადოებას შეჰმატებია სულ 108 წევრი (პირველს წელიწადს ჰყოლია 319, უკანასკნელს წელს-კი—427). ამ 427 წევრს უნდა შემოეტანა 4,000 მანათზედ მეტი, მაგრამ საწევრო ფული შემოსულა 743 მანათი. თუმცა წლიური ანგარიში ამბობს, „რომ ამ 8—9 წლის განმავლობაში საზოგადოებას კარგად ბლომად შეჰმატებიან წევრნიო“, მაგრამ ესეც რომ დავიჯეროთ, თუ შემოტანილის საწევრო ფულის რაოდენობას გავიხსენიებთ, მაშინ ნება არა გვაქვს ვსთქვათ, რომ «კარგად ბლომად შეჰმატებიან საზოგადოებას წევრნიო». რამდენად გზაზე ელობება საზოგადოებას ხელ-მოკლეობა, ეს იქიდგანა სჩანს, რომ საზოგადოებას წელს არც ერთი სკოლა არ გაუმართავს, ერთი კაციც ვერ მიუჩენია სკოლებისათვის თვალ-ყურის სადევნელად, ვერც ერთი წიგნი ვერ დაუბეჭდია, სულ ერთისა და იმავე მიზეზის გამო.

საზოგადოებას წელსაც იმდენივე სკოლა აქვს, რამდენიც შარშან ჰქონდა, და, როგორც სჩანს, საზოგადოებას არა დაუკლია-რა იმისთვის, რომ რაც შეიძლება უკეთ მოაწყოს სწავლის საქმე არსებულს სკოლებში. იმ ცვლილების წყალობით, რომელიც საზოგადოებას შემოუღია თავიანთს სკოლებში, მოსწავლეთა რიცხვი ერთი ორად იმატებს. ეს ის ცვლილებაა, რომლის ძალითაც თვითოეულს სკოლაში ორ პირად უნდა გაიყოს მთელი ოთხ-განყოფილებიანი სკოლა. მასწავლებელმა დილით უნდა ასწავლოს პირველს ორს განყოფილებას და საღამოთი მესამესა და მეოთხეს. ეს აზრი მოუსმენიათ გამგეობის წევრთა, სკოლების მასწავლებლების თანადასწრებით, და დიაღაც სასიკეთო აზრად უცვნიათ.

საზოგადოების უმთავრესი სახსარი ისევ კერძო შემოწირულებაა, ლატარია-ალეგრი და კონცერტები, რომლებიც იმართება სხვადასხვა წევრთა მეცადინეობით. ამ წყაროდგან საზოგადოებას შემოსდის იმაზე მეტი, რაც საწევრო ფული უნდა შემოსვლოდა.

როგორც ჰხედავთ, საზოგადოების მდგომარეობა მაინცა და მაინც კარგი არა ყოფილა, მაგრამ, სჩანს, საქმე, თუნდაც ნელის ნაბიჯით, მაინც წინ მიდის. თვით ანგარიში ამბობს, რომ „წლევანდელს წელს კიდევ არა უშავს-რა, სხვა წლებთან შედარებით ბედნიერ წლად ჩაითვლებაო“.

ა. ხ—ი

## ახალი ამბავი

*** „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წევრთა წლიური კრება დანიშნული იყო პარასკევს საღამოს, 20 მაისს, თავად-აზნაურთა ბანკის სადგომში, მაგრამ რადგან კრებაზე იმდენი წევრნი არ შეგროვდნენ, რამდენიც საჭიროა საზოგადოების „წესდების“ ძალით, ამიტომ წლიური კრება გადაიდო 29 მაისისათვის. 29 მაისის კრება კანონიერ კრებად ჩაითვლება, რამდენმა წევრმაც უნდა მოიყაროს თავი.

*** დღეს, 22 მაისს, მუშტაიდში დანიშნულია სეირნობა და ლატარიაალეგრი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების“ სასარგებლოდ. ბაღში შესვლის ფასი ერთი აბაზია. ლატარიის ბილეთიც თითო აბაზი ღირება.

## ფელეტონი

### მამიდა ასმათი

ამბავი.

ჟუმლენი ციცინათელას.

(შემდეგი*)

### VI

შემოდგომა განახევრებული იყო. ღრუბლები ცაში აირია. ღვაფაც დაიწყო. ზურუკეთის სოფელი ერთ მაღალ სერიდგან გადმოჰყურებდა. ხის ბოძებზე შემდგარს პატარ-პატარა ოდებს სილის სოკოებივით ამოეყოთ თავი წიფლარში. სერს ქვემო ფერდი წრიაპად დაეშვებოდა. ალაგ-ალაგ თვალ-ჩაუწვდენელი ნაპრალები ჩაუყვებოდა. ძირს კლდის ნახეთქებში ჰქოთავდა მდინარე ძირულა. გაღმა-გამოღმით მთის კალთები წითელ ბილიკებით იყო დასერილი. უჩვევი კაცი ვერც-კი გაბედავდა ამ ბილიკებზე სიარულს, მაგრამ ზურუკეთის მცხოვრებნი და სოფლის ბიჭები ეშმაკებივით დახტოდენ ზედ, თითქო ქვა-ფენილი ყოფილიყოს. უზარმაზარს წიფლის ხეებს მწვანით შეეფინათ მთის კალთები. ქვევით ღრატოებში კლდის ნამზვლევები მდინარეს წინ უხვდებოდენ, გზას ულობავდენ. ისიც ამის ვაჟკაცურად ლრიალებდა, ჰკბენდა კლდის ნამზვლევებს და ზედ ქაფს აყრიდა. ცა ლენტად ჰქონდა ხეობას გადაკრული და იმ ძირულის პირად ვინც მოხვდებოდა, ეს ვიწრო ხეობა სულს უხუთავდა. აქ ასე ეგონებოდა მოგზაურს, რომ ქვესკნელის კარზე ვარ მიმდგარიო.

მაღლა სერზე ერთი ათი ურმის გადაყვითლებული ყანა პატრონის ხელს ელოდა მოსატეხად. ეს მეექვსე დღე იყო, რაც ასმათი თავის ოდიდან გულის კანკალით შესცქეროდა გაღმა იმ მოწეულს ყანას. ვაი თუ როსაფის ნაყმევებმა მოტეხონ, ჩალაც მომკონ და შემძახებელი კაციც არავინ გაუჩნდეს. ის დღენიადაგ გზირათ იყო გადაქცეული, უნდოდა შეეტყო, ნეტა როსაფის ნაყმევები როდის აპირებენო იმ ყანაში შესვლას. ამ დროს ერთმა თავ-შიშველა გლეხის გოგომ მოირბინა აივანის წინ და ნათელა იკითხა.

— გოგო! — ჰკითხა მაშინვე ასმათმა: — ე ყანა რომ ისე მიუგდიათ თქვენებს და არ ტეხენ, რა მიზეზია?..

— მამამ თქვა, ხვალ უნდა შევიდენო სატეხათ. მეც წავალ, კვახები (გოგრები) უნდა დავაგროვო. ნათელამ მითხრა შემატყობინეო, რომ მეც წამოვიდეო, იმიტომ მოვედი. ერთათ მოვაგროვოთ კვახებიო. იქ ონტოფაც ბევრია და სათამაშოებს გავაკეთებთ.

— კარგი, შვილო, ვეტყვი.

გლეხის გოგომ საჩქაროთ მოკურცხლა უკან.

იმ საღამოს ასმათმა კაცი აფრინა ოთართან, ნაყმევებიც დაიბარა, გადაწყვიტეს, ხვალ დილით უნდა შესულიყვნენ ყანას და ჭირნახული წაერთმიათ როსაფის გლეხებისათვის.

დილა გათენდა ნისლიანი, წინწკლავდა კიდეც. როგორც ინათლა, ოთარი თავიდან ფეხამდის შეარაღებული გაჩნდა ასმათის ეზოში. იქ მისი ნაყმევები შემოიკრიბა. გლეხები ზანტობდენ, რაღაც არ უნდოდათ წასვლა, ჰგრძნობდენ, რომ კარგი არა შეემთხვეოდათ-რა. „ბატონო, ის არ სჯობია, რომ სამართლით დაიჩინოთ? ვინ იცის, რა დაგვემართება, ძალაზე რომ დავდგეთ?.. თუ ჩვენ გავლახეთ, კანონი ჩვენ დაგვსჯის. ისინი თუ მოგვერიენ, კეტებით დაგვიხეთქენ თავებს“. — სთქვა ერთმა გლეხმა.

— დღეს თუ თქვენ ის სიმიდი არ შემომიტანეთ, მე ნულა დამენახვებით. დღეს იქ უნდა მოვიკლა ჩემი თავი, — გაბრაზებით წამოიძახა ასმათმა.

— თქვენ რისი გეშინიათ? — ანუგეშა გლეხები ოთარმა. მე ვიცოდე და იმათ. ჩემი იარაღი გასცემს მათ პასუხს. აი, ჩემი აფსონები! — უჩვენა აზნაურებზე. წინ ჩვენ მიგიძღვებით, ჩვენ წავართმევთ. თქვენ მხოლოდ წამოიღეთ, რაც მოგცეთ. ხუთ კაცს მარტო მე გავუსწორდები.

— თუნდ ათ-ათი მოვიდეს თითოზე — გამხნევებით შესძახეს ოთარის ამხანაგებმა.

— ა, ბატონო! თქვენ წაბძანდით და ჩვენ მოგყვებით, მეტი რა ღონეა!.. უგულოთ ჩაილაპარაკეს გლეხებმა.

ოთარი აჩქარებით დაეშვა ბილიკზე. მას უკან გაედევნენ აზნაურები და გლეხები. ისინი მალე გაჰქრნენ წიფლარში.

— ასმათი გადადგა აივანზე და გაცოფებული შეჰყურებდა გაღმა სერზე მდებარე ყანას, რომელსაც როსაფის გლეხები ქალიან-კაციანა შესეოდნენ ნამგლებით, თან ტეხდენ და თან ჩალას მკიდენ.

— ვაი, ჩემო უბედურო თავო! რას ვხედავ?.. ყანა მომიპრეს!.. დახე, იმ პირ-შავებს, რა ჩქარა მუშაობენ! სანამდის ჩვენები მივიდოდენ, კიდეც აილებენ! — სიანჩხლით იცემდა ასმათი მუჯს მკერდში.

ამ დროს ოთარი და მისი ამალა აეფინენ გაღმა ფერდს.

ჯერ კიდევ კარგა მოშორებით იყო ოთარი, რომ ქვეიდან შესჰყივლა:

— აუშვით ახლავე მუშაობა, თორემ ერთიც ცოცხალი ვერ გადამირჩებით!

როსაფის გლეხები შეჯგუფდენ, ნამგლები შეარაწკუნეს და გადმოძახეს:

— ნუ მობძანდებით, ჩვენ ნაოფლარს ჭირნახულს ვერ დაგანებებთ. როსაფს ედავეთ, ჩვენთან რა ხელი გაქვთ?

— მალ დამიდექით, თუ ბიჭები ხართ!..

გლეხებმა ქალიან-კაციანა ასტეხეს ყვირილი: ნუ მობძანდებით. დღეს ყველამ აქ უნდა მოვიკლათ თავი!..

პატარა ბიჭებმა ქვებს დაუწყეს მოგროვება. ეტყობოდათ, ისინიც ემზადებოდენ საჩხუბრათ.

ოთარმა უთხრა აზნაურებს გაის ბილიკით თავი დაევლოთ გლეხებისათვის. თვითონ ოთარი პირდაპირ შეუდგა შემართს, გლეხებიც თან ახლა. თუთხმეტ ნაბიჯზე რომ მიუახლოვდა ყანას, შედგა ერთ კონცხზე, ამოიღო გატენილი დამბაჩა და დაუძახა გლეხებს: დაანებეთ თავი მუშაობას, თორემ ეს არის გესროლეთ. ამ დროს ერთმა ახალგაზდა ბიჭმა გამოუშვა ქვა და ოთარს ბეჭებში მოახვედრა. გავარდა ოთარის დამბაჩა, დაეცა ძირს ერთი გლეხი. დედაკაცებმა მორთეს კივილ-ჩხივილი, ახალგაზდა ბიჭებმა გაახშირეს ქვების სროლა. ოთარი და გლეხები კონცხს ამოეფარნენ. უეცრად აზნაურებმაც მეორე მხრით დასცეს ზევიდან კიჟინა: აბა, გაჩერდით, ვინც ვაჟკაცი ხართო!.. ამას არ მოელოდენ გლეხები. იმათ იგრძნეს თავი ორ ცეცხლ შუა და აირივნენ. რამდენიმე მათგანი ძირს დაეშვა, საცა კონცხ ქვემოთ ოთარი უყარაულებდა. ვინც განზე ჩაურბინა ოთარს, ყველას შელიპა ხმალი. ერთს გლეხ

*) იხ. „ივერია“ №№ 101 და 104.

*** ამ მოკლე ხანში იქნება დანიშნული საერთო კრება კავკასიის საგეოგრაფიო საზოგადოებისა. ამ კრებაზე ბ-ნი ლ. პ. ზაგურსკი წაიკითხავს სხვათა შორის თავისს რეფერატს „Кавказскіе алѳавиты“.

*** გუშინ დაიწყეს სასულიერო სემინარიაში მე-6 კლასის შეგირდების გამოცდა. გამოცდაზე, სხვათა შორის, დაესწრო მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა, საქართველოს ეგზარხოსი პალადი. შეგირდები გამოსცადეს დოღმატიურს ღვთის-მეტყველებაში. ეგზარხოსი ძალიან კმაყოფილი დარჩა. გამოცდაზევე დაესწრო ახალად ჩამოსული რექტორი სემინარიისა, მამა პაისის მაგიერ დანიშნული, მამა ნიკანორი.

*** სენაკის მაზრა: სამეგრელოში მიწის ნაყოფს კარგი პირი უჩანს ჯერ-ჯერობით, მხოლოდ წვიმებმა შეგვაწუხეს. ჩვენი უმთავრესი სენი—ქურდობა ცოტათი არ იყოს შემცირდა და, მართალი გითხრათ, ძალიანაც გვიკვირს ეს გარემოება.

*** კახეთი: მეტის-მეტად შეგვაწუხა ავდრებმა, დილით მშვენიერი ტაროსი შუადღისას ერთ რაღაც საშინელ ნიაღვარ-ქარიშხლად გადაიქცევა ხოლმე. ამ დაუბოლოვებელმა ავდრებმა ერთი ორად ააყელთა მდ. ალაზანი. ალაზანმა ერთს ხიდს კარგა ხანია აუგო ანდერძი და სალიანისკენ სათევზაოდ გაისტუმრა და მეორე ხიდსაც ისე აფანფალებს, რომ, დღეს თუ ხვალ, ამასაც ბოლოს მოუღებს. საკვირველია, რომ კახეთს არ ეღირსა ჯერ-ჯერობით ერთი რიგიანი ხიდი, რომელმაც გაღმა-გამოღმა მხარე უნდა შეაერთოს. კახელები დიდის სიამოვნებით იკისრებდნენ ამისათვის საჭირო ხარჯსა და შრომას, მაგრამ მაინც არა გაეწყობა-რა... ჯერ იყო და კისისხევის ხევმა გააჭირა საქმე. იმას მორჩა ხალხი და უკრეს თავი თიანეთის გზაზე. ეს გარემოება, მართალი გითხრათ, ძალიან აწუხებს კახელებს, მით უფრო, რომ ეხლა მუშაობის დროა.

*** თელავი: წარსულს დიდ-მარხვაში „კლუბის“ უფროსთ შემოიღეს ყოველ შაბათობით, წევრთა და იმათის სახლობის გასართობლად, შინაური ლიტერატურული საღამოები. იკრიბებოდნენ წევრნი სახლობითურთ, ისმენდენ პატარ-პატარა ლექსებს თუ მოთხრობებს და რიგიანს ბალსა ჰმართავდნენ. ამ საღამოების საგანი უფრო ჩვენის ქალების გართობა იყო. მართლაც, ყოველ საღამოს იკრიბებოდა ხალხი და, სწორედ უნდა ვსთქვა, დიდის სიამოვნებით ატარებდა დროს ამ საღამოებზე. ამის შემდეგ ძალიან შემცირდა ლოტოსა და ბანქოს თამაში. უქმეების გამო შესწყდა ეს საღამოები და ეხლაც ჯერ-ჯერობით შეჩერებულია. ურიგო არ იქნება, რომ ეს საღამოები ისევ განაგრძონ. ურიგო-კი არა, მეტის-მეტი მადლიც იქნება.

*** სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განუზრახავს პირველი დასაწყისი სატყეო სკოლა გამართოს ახალციხის მაზრაში 1 სექტემბრიდამ. პირველ ხანად სკოლაში მიიღებენო, ამბობს გაზ. «Кавказъ»-ი, 4 ყმაწვილს სახელმწიფო ხარჯით და 4-ს თავიანთის ხარჯით.

◆◆

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

სიღნაღი, 15-ს მაისს. ჩვენსკენ წელს დიდი წვიმები, ნიაღვრები და სიცივეებია. მარტი და აპრილი მშვიდობიანად გაისტუმრეთ. ყბად-აღებულმა და აზრუ-გატეხილმა მარტმა ისე გაიარა, რომ არც სხვილ-ფეხა საქონელი დაუზარალებია და არც წვრილ-ფეხა. მარტის სამაგიერო ლამის კულავ ქებულმა მაისმა, ამ „ვარდობის თთვემ“ გადაგვახდევინოს. აგერ, თითქმის, თთვე გადის და წვიმა-კი კოკის-პირულად მოდის. შიგა-და-შიგ რომელსამე დღეს თუ მზე გადმოგვხედავს შავის ღრუბლებიდამ, თორემ სულ სწვიმს. ამ წვიმებისაგან ჯეჯილებმა სწრაფად აიწიეს და ზოგიერთგან, როგორც აქ იტყვიან, „გაძალიანდნენ“. გაძალიანება სანუკვეშო არ არის, რადგანაც ხშირად გაძალიანებული ყანა ჩაიწვება, ჩაკვდება, მიწაზედ დაწვება ხოლმე და მარცვალს ვერ დაასრულებს. ხოლო ბრინჯის (ჩალთუქის) და ფეტვის თესვას ამ გვარი ავდრები ძლიერ ხელს უწყობენ. ეხლა ჩვენში ბრინჯის თესვა გაჩაღებულია. შემდეგ დასთესავენ ფეტვსაცა. სიმინდს აქ მინდვრებში არა სთესვენ, არამედ ბოსტნებში. ეს იმიტომ, რომ სიმინდი ინგილოებს მოჰყავთ მხოლოდ ხილად—საჭმელად.

ავდარი, წვიმა და სიცივე ფრიად მავნებელია აბრეშუმის ჭიისათვის. აი ამიტომ აქაურები ძლიერ შიშობენ, რომ მაისის სინესტემ და საკმაოდ საგრძნობელმა სიცივემ არ ავნოს ამ ფრიად კეთილშობილს მწერსა. ჭია ზოგიერთ ინგილოსათვის დიდი ნუგეშია. იმისი პარკი ზოგისათვის ერთად-ერთი საზსარია ხარჯ-ბორჯის მოსაშორებლად და საოჯახო წვრილმან საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. ამიტომაც ყოველი სული მესტრევის მას, საყვარელ შვილსავით თავს ევლება, ჰპატრონობს და უვლის. საკვირველია, იმისი მოვლა და ამ მწერის პატრონობა მამა-პაპეულ წესებს არ გასცილებია: ისევ იმავე მჭვარტლიანს, შებოლილს და ბნელს სახლებიდგან ვერ გამოუყვანია ინგილოს თავისი ნაზი, სუსტი და ბაჯაღლოდ სალირალი კეთილის მყოფელი, მაგრამ რას იზამს, თვითონაც ხომ ამ გვარსავე კერას ვერ მოშორებია, ვერ გამოსულა ბნელის ჯურღმულებიდამ გაბრწყინვალებულს სადგურებში. მამლულისა და მასავლელის ბედი აქ ერთ ნაირია. მიუხედავად ამისა პატრონი სცდილობს, რამდენადაც ძალი და ღონე შესწევს, არ შეაციოს, არ მოამშიოს თავისი საყვარელი ჭია, დროიანად გაუთბოს ოთახი, დროიანად მიაწოდოს საზრდო. ვერ წარმოიდგენს კაცი ინგილოს გულის ტკივილს, როდესაც შავი ჭირი, სიჭლექე, სისუსტე და სხ. ავადმყოფობა ჭიებს შეეყრება და მუსრს აადენს. საწყალი ჭიები გაშავდებიან, ცახებს (ჩალას) თავ-დაღმა დაეკიდებიან (ცახებს უდგმენ ჭიებს პარკის „შესაქმნელად“, ე. ი. გასაკეთებლად) და ხრწნას იწყებენ. იმათი მკარება მაშინ შესაზარია: მიკარებისათანავე იშლებიან და ცუდს სუნს აყენებენ. არა ნაკლებ სამწუხარომდგომარეობაშია მაშინ თვით მეჭიეცა: შვილდაკარგულსავით დაღრეჯილა, შეწუხებულა და დასევდიანებულა. მაგრამ სანუგეშოდ ხალხისა ჭირი ხშირად არ ეწვევა ხოლმე აქაურობას და თუნდაც ეწვიოს, მაინც იმდენს ზარალს ვერ აძლევს მეჭიეს, რომ შრომის ფასი მაინც არ ამოიღოს. ნაყოფიერ წელიწადებში ხომ ზოგიერთს 15—20 ფუთამდე მოსდის, რაიცა გლეხს ორას მანეთამდე მისცემს.

ფრიად სანუგეშოა აგრეთვე ის გარემოება, რომ წელს აქაური ღვინოები უჩვეულებრივო ფასად ისყიდება. წინა წლებში აქაური თაღარი ღვინო (ტფილისსა 30 თუნგი) ისყიდებოდა 4—5 მანათად, ეხლა-კი იგივე სარწყაო 20 მან. გადის.

გინმე ა.

◆

## ა ნ გ ა რ ი შ ი

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების შეუძლებელთა მოსწავლეთა შემწეობისათვის გამგე კომიტეტისა 1887 წლის პირველ მაისიდამ 1888 წლის თექვსმეტ მაისამდე.

(დასასრული *)

პანსიონი. როგორც საზოგადოების წევრთა მოეხსენებათ, შარშან პანსიონერების რიცხვს შეადგენდა 65 ყმაწვილი. ამათგან 19 პანსიონერი იზრდებოდა საზოგადოების სრულს ხარჯზე, 34 ნახევარს ხარჯზე და იხდიდა თვითოეული მათგანი მხოლოდ ათ-ათ თუმანს წელიწადში, ერთი-კი თხუთმეტ თუმნიანი იყო და 11 კიდევ თავის ხარჯზე იყო და თვითოეული იხდიდა ხარჯის ფასს ოც-ოც თუმანს. წარსულის წლის განმავლობაში დაიცალა, გაიხსნა სამი ვაკანსია საზოგადოების ხარჯისა. გამგე კომიტეტმა გაუნაწილა ეს სამი ვაკანსია მაზრებს მისდვით იმ მონაწილეობისა, რომელიც თვითოეულს მაზრასა აქვს მიღებული ბანკის დაფუძნებაში, რადგანაც მოხსენებული ბანკი შეადგენს უმთავრესს წყაროს სკოლის არსებობისას. ამ განაწილების ძალით სიღნაღის მაზრას შეხვდა ერთი ვაკანსია, ტფილისისა და თელავის მაზრასაც მხოლოდ ერთი და აგრეთვე ერთი ვაკანსია შეხვდა გორისა და დუშეთის მაზრებს საერთოდ. ეს განაწილება გამგე კომიტეტმა თავის დროზე გამოაცხადა საქვეყნოდ გაზეთებში.

1887 წლის აგვისტოს ოც-და-რვამდის გამგე კომიტეტს მოსცეს თხოვნა საზოგადოების სრულს ხარჯზე მიღებისათვის 111: გორის მაზრიდამ—72, ტფილისისა და დუშეთის მაზრებიდამ—22, თელავის მაზრიდამ—13 და სიღნაღის მაზრიდამ—4. შემდეგ ამ თხოვნების და საბუთების განხილვისა და ყმაწვილთა მშობლების გარემოებათა გამოკვლევისა კომიტეტმა შეიწყნარა სულ 37 თხოვნა. ამათგან 22 იყო გორის მაზრიდამ, ხუთი დუშეთიდამ, ერთი ტფილისის მაზრიდამ, რვა თელავის მაზრიდამ და ერთიც სიღნაღის მაზრიდამ. აგვისტოს 31 მოხდა კენჭის ყრა ყმაწვილების მშობელთა და ნათესავთა თანადასწრებით. კენჭი ეყარათ ყმაწვილებს იმის მისედვით, თუ როგორ იყო განაწილებული სამი ვაკანსია მაზრებს შორის. მიღებულნი იქმნენ კენჭით თელავის მაზრისა და ტფილისის მაზრის მხრივ მელქისეთ ხუციშვილი იოსებ, გორისა და დუშეთის მაზრების მხრივ ჩუბინაშვილი არჩილ და სიღნა-

*) იხ. „ივერია“ № 105.

---

მკერდამდის გაეელო, მეორეს მკლავი ჩამოაგდებინა, მესამეს კისრის ძვალი მოაგდებინა. სხვანი გაიფანტნენ. ამ ჩხუბში ორი გლეხი მოკვდა, სხვები ხუთამდის მძიმეთ იყვნენ დაჭრილი. ასმათი გაღმიდან უყურებდა ამ ამბავს და სიამოვნებდა: აგრე მოგიხდებათ, თქვე ღორებო!.. საწყლები, როგორ თხებსავით დაიფანტნენ... თუ ეგ არ გინდოდათ, რათ დამითესეთ ჩემი ყანა?.. წადით ახლა და როსაფა გიშველოთ...

ამ ამბავმა მალე შესძრა მთელი ქუთაისის ადმინისტრაცია, გამოგზავნეს სამძიებო საქმეთა მწარმოებელი და თან გამოატანეს საგლეხო სასამართლოს წევრი. შედგა დიდი საქმე. როსაფა არასფერს ზოგავდა, რომ მთავრობას დამნაშავეებისთვის მაგრათ მოეკიდნა ხელი. მაგრამ არც ასმათს დაუკლია მეცადინეობა მის წინააღმდეგ.

ამ დროს მოხდა ერთი შემთხვევა. ერთს დიდებულს იმერეთის თავადს დაეკარგა ორი ბედაური. ასმათმა მაშინვე საიდუმლოთ აცნობა იმ თავადს, რომ ვითომც მისი ცხენები როსაფს მოეპაროს. თავადმა სთხოვა ღუბერნატორს, როსაფი დაეჭირათ. ის დაატყვევეს და წაიყვანეს ქუთაისს. მერე სახლი დაუჩხრიკეს, მაგრამ კვალი ვერაფრის იპოვეს. ასმათმა ხელ-ახლა შეასმინა როსაფი; იმან დაარწმუნა თავადი, ვითომც როსაფს რომ ვეღარსად გადემალოს ცხენები, დაეკლას და ბოსლის ბაგს ქვეშ მიწაში ჩაემარხოს. ის იყო როსაფს საპყრობილიდან უშვებდნენ, მაგრამ ამ მეორე შეწამების გამო ისევ დააკავეს. მის ბოსელში ჭერი აჰყარეს, მიწა ღრმათ გათხარეს, მაგრამ მაინც ვერა იპოვეს-რა.

ამ გვარი მოქმედებით როსაფი ბარე ნახევარი წელიწადი საპყრობილეში იყო გამომწყვდეული და ოთარის საქმეს თვალ-ყური ვეღარ ადევნა. თვითონ ასმათმა-კი თავდებ ქვეშ მოახერხა ოთარის გამოშვება და ცდილობდა გლეხების მოკვლის საქმე მისთვის თავიდან გადაეცილებინა. თუმცა საქმე ხუთს წელს გაჭიანურდა, მაგრამ თავიდანვე ეტყობოდა, რომ ოთარს კარგი დღე არ დაადგებოდა. მით უმეტესად შეიქნა ოთარი დაუძინებელი მტერი როსაფისა.

### VII

მარიამობა მოახლოვდა. ზურუკეთის გლეხი და აზნაური სულ საწვეულოთ ემზადებოდა. დღესასწაული იცოდენ ოფუთას სოფელში. ის იყო ზურუკეთიდან ერთი საათის სავალზე. ოფუთა კიდევ უფრო მაღლიდან გადმოჰყურებდა, ვიდრე ზურუკეთი. იმ სოფლის საყდარი აწეულ კონცხზე იყო დადგმული. ბზების ბუჩქები და ნაძვის ხეები გარშემო უსხდენ და შორიდან შავ არშიათ მოჩანდენ. ამის გამო კირით შეფეთქილი საყდარი კიდევ უფრო ნათელს შუქს ისხამდა. საყდრის გალავანში კარგა მოზდილი მინდორი იყო. მარიამობას იმდენი ხალხი გროვდებოდა ამ მინდორში, რომ ტევა აღარ იყო. აქ ჩინებული თემობა იცოდენ. თემში ფერხული, სუფრული, მაყრული, იმერული „ორიდილა“ და მრავალი სხვა ჰანგის სიმღერები გაუწყვეტლივ ისმოდა. ხან-და-ხან სროლაც იყო ხოლმე. მთელი ოფუთა ამ დღესასწაულს დიდათ მიეხარებოდა. გლეხი და აზნაური ერთ კვირაზე ადრე შეუდგებოდენ დღესასწაულისათვის მზადებას. ლავაშს, მჭადს, შოთს და თორნეულს კოდობით აცხობინებდენ. იმ ხანებში ვინც-კი იყო ხაბაზი, ან მზარეული იმ კუთხეში, სულ იქ მიისწრაფოდა. კარგი ნაშოვრობაც იყო ხოლმე იმათთვის. ერთ ჩანახს ჭირნახულის გამოცხობაში თითო აბაზს, ხან-და-ხან ხუთ-ხუთ შაურსაც აძლევდენ. ამას გარდა ხარჯიც მასპინძლისა იყო და ღვინო თავსა სდიოდათ. მარიამობის წინ ღამეს ოფუთას სოფელში განსაკუთრებით გლეხობაში გაისმოდა სასუქი ღორების ჭყივილი; რომელიც უფრო შეძლებული აზნაური იყო, ის ღორს არ დაჯერდებოდა საკლავათ, უშობელსაც ზედ მიაყოლებდა. ვინც ძალიან ღარიბი და ხელ-მოკლე მოსახლე იყო—ორი მესამედი სულ ამ წრეს ეკუთვნოდა,—იმათთვის სოფლელები საერთო ხარჯით ხოცდენ საკლავებსა და მუშტრებში ასო-ასოთ დაიტაცებდენ. ზოგიერთი ჩანახს (იმიდათ ურიგდებოდა, ზოგი კოდსაც აძლევდა, —ეს იმაზე იყო დამოკიდებული, ვინ რა ასოს აიღებდა.

წინა ღამეს მამიდა ასმათისას შეგროვდენ ოთარი და სამი მისი ამხანაგი.

— რა კარგი დრო გიდგებათ, ოთარო, ჩვენი განზრახვის ასასრულებლათ, რომ იცოდეთ!.. —უთხრა ყმაწვილებსა ასმათმა.

— რა დროს საქმეა, მე ხვალ ოფუთას მივდივარ დღესასწაულზე.—თქვა ოთარმა.

— შენ და როსაფი, მგონია, ერთ ოჯახში ხართ დაპატიჟებული.

— ჩხუბი ხომ არ გინდა რომ აუტეხო და თავი გადაევურიწო?

— არა, მაგას არ გეუბნები, შვილო. ანდერძზე რაც გითხარი, აღარ გახსოვს? არ იცი, რომ თუ ის ანდერძი ხელში არ გვექნა, შენი საქმე ცუდათ არის? ჩვენ იმ ანდერძით უნდა დავამტკიცოთ, რომ ყანა ჩემი იყო და როსაფის გლეხები მე მომიხტენ და არა თქვენ იმათ. უამისოთ, ხომ იცი, გლეხების გაწყვეტას თავზე ვერ გადიელებ. ციმბირს აქეთ ადგილი არ გექნება!

— ბიჭო, ანდერძს გარდა, ფული?.. ამას აღარ აჩნარიშობ?.. წამოიძახა ალტაცებით ერთმა აზნაურმა. ხვალ სწორეთ კარგი დრო გვაქვს, რადგან როსაფი შინ არ იქნება.

— აი, მე რას გირჩევთ!... განაგრძო ასმათმა. ოთარმა ხვალ სადილზე ჩხუბი აუტეხოს როსაფს. შეიქნება ერთი მითქმა-მოთქმა. ამ ამბავს მთელი ოფუთა შეიტყობს. საღამოს ყველა მთვრალი იქნება. ვინ რას გაიგებს ოთარის უკან დაბრუნებას? ჩამოირბინოს ღამით ოთარმა ზურუკეთში და ცეცხლი მისცეს როსაფის ოდასა. მერე ისევ გაბრუნდეს ოფუთას. მარიამობის ღამე თავის ნათლიმამისას გაატაროს. მთელი ზურუკეთის სოფელი ცეცხლს მიაშურებს. ამ ყმაწვილებმაც დაუწყონ ცეცხლს ქრობა და ოჯახის ავეჯეულობის გარეთ გამოტანა. უეჭველია იმ ყუთს ნახვენ, რომელიც მე გითხარით; გადამალონ და მერე აქ მომიტანონ. გატეხოთ, ყუთი ცეცხლში ჩაეწვათ, ანდერძს და ნივთებს მე წავიღებ. ფული თქვენ გქონდესთ. გაკეთდება ამით საქმე.

— კარგა არ მოისაზრა ასმათმა!— მოწონებით წამოიძახეს აზნაურებმა.

— ბატონი ბძანდები. როგორც შენ თქვი, დედილო, ისე მოვიქცევით.

— თუ ის ანდერძი არ ჩაეიგდეთ ხელში, გლეხების მკვლელისათვის ყველას დაგკარგვენ,—დაჰკრა კვერი ასმათმა.

ამ მოგონებამ, ცოტა არ იყოს, უსიამოვნოთ იმოქმედა ოთარზე და მის ამხანაგებზე. მით უფრო ბეჯითათ გადასწყვიტეს გულში მარიამობის ღამეს როსაფის სახლის დაწვა, ყუთის ხელში ჩაგდება.

—

მარიამობას ჩინებული დარი დაუდ-

ღის მაზრიდამ ვაჩნაძე იოსებ უკმნწოდ, რადგანაც ამ მაზრიდამ მეტოქე არავინ იყო. სამის ვაკანსიის გარდა პანსიონში იყო ერთი კიდევ თავისუფალი ადგილი თავ. ჭავჭავაძის სტიპენდიისა. თავ. ჭავჭავაძის სტიპენდიაზე ეყარათ კენჭი თელავის მაზრის უმაწვილებს და რადგანაც ვისაც კენჭი შეხვდა, ვერ აღმოჩნდა საკმაოდ მომზადებული სკოლაში შემოსასვლელად, ამის გამო ამ სტიპენდიაზე დანიშნა გამგე კომიტეტმა ერთი კარგი მოსწავლეთაგანი თელავის მაზრიდამ, მეორე კლასის მოწაფე ნიკოლოზ ჯანდიერი.

ნახევარს ხარჯზე მიღების მთხოვნელნი იყვნენ 16 და ყველა ესენი იქმნენ მიღებულნი.

ყველა ეს უმაწვილები, მიღებულნი როგორც საზოგადოების ხარჯზე, ისე ნახევარს ხარჯზე, თავად-აზნაურთა წოდებისას ეკუთვნიან. ამ ჟამად პანსიონში სცხოვრობს 63 პანსიონერი. ამათში 22 საზოგადოების ხარჯზეა, 34 ათ-ათ თუმანს იძლევა და 7 კიდევ ოც-ოც თუმანს.

როგორც წარსულს წლებში, ამ წელიწადშიაც კარგი სმა და ჭამა ჰქონდათ პანსიონერებს. კარგს სმა-ჭამას და ნაცვამ დასურვას, ფართო სახლს და დიდს კარ-მიდამოში თავის დროზე უმაწვილების მოძრაობასა და თამაშობას—ყველა ამას უნდა მივაწეროთ ის სასიამოვნო ამბავი, რომ ამ წელიწადს სკოლაში ჰსუფევდა ჯან-მრთელობა და მსუბუქი ავადმყოფობაც-კი იშვიათი იყო.

პანსიონერების გარდა სკოლაში სწავლობენ გარედამ მოსიარულე უმაწვილებიც. ამ ჟამად ამათს რიცხვს შეადგენს 140 მოსწავლე. ამათ შორის ზოგნი უფასოდ სწავლობენ, ზოგთ-კი შემოაქვთ წელიწადში 12 მან. თუმცა გარედამ მოსიარულე მოსწავლეებში ამ წელიწადსაც ბევრი უწყალოდ ღარიბი ერია, მაგრამ გამგე კომიტეტს არა ჰქონდა ღონისძიება წარსულის წლებისამებრ რაიმე შემწეობა აღმოეჩინა ღარიბ მოსწავლეთათვის. აგრეთვე არც სხვა სასწავლებლების ღარიბ მოსწავლეებს დახმარებია, მხოლოდ მეორე გიმნაზიის მოსწავლეს ზაქრაძეს, რომელიც ჩვენის სკოლიდამ გადავიდა იქ და დაიჭირა ეგზამენი მეხუთე კლასში და რომელიც ხინებულ მოწაფედ ითვლება, დაუნიშნა გამგე კომიტეტმა მცირედი შემწეობა. აგრეთვე აღმოუჩინა შემწეობა. დერპტის უნივერსიტეტის სტუდენტს თურქესტანიშვილს და გაუგზავნა ოცი თუმანი. ამას გარდა გამგე კომიტეტი იძულებული იყო გაეწია რა შემდეგი ხარჯიც. საზოგადო კრებას მოეხსენება შარშანდელის ანგარიშიდამ, რომ გამგე კომიტეტს იმედი ჰქონდა, მეოთხე და მეხუთე კლასის მოწაფეებს მისცემდნენ უფლებას დაეჭირათ ეგზამენი მეორე გიმნაზიაში მაისსა ანუ თიბათვეში. ეს იმედი არ გამართლდა და ჩვენის სკოლის მოსწავლეებს დაუნიშნეს ეგზამენი მხოლოდ აგვისტოში. რომ ამ მოსწავლეებს ზაფხულში განემეორებინათ შეძენილი ცოდნა, გამგე კომიტეტმა დაინახა საჭიროდ მოეწვია მათთვის ორი მასწავლებელი და პანსიონერების შესანახავად გადადვა სახარჯო ფული.

ამით ათავებს გამგე კომიტეტი წარსულის წლის თავისის მოქმედების ანგარიშს და საჭიროდ ჰხედავს ამ ანგარიშის ბოლოს მოაქციოს საზოგადო კრების ყურადღება ორ ფრიად თავ-საჩინო საქმეზე. პირველი საქმე შეეხება ჩვენის სკოლის მომავალს ბედს, მეორე საქმე კიდევ საქალებო სასწავლებლის დაფუძნებას.

კარგა ხანია ქართველთა საზოგადოებაში იმის და გაზეთებშიაც სწერან, რომ დრო არის დავაარსოთ იმ გვარი სასწავლებელი, რომელიც შეეფერებოდეს ჩვენს აწინდელს მდგომარეობას და ჩვენის ქვეყნის ზნეებს. მართლაც, ვინც-კი დააკვირდება ჩვენის ცხოვრების მიმდინარეობას და ჩვენის ქვეყნის სიმდიდრეს, იმისათვის ცხადი იქმნება, თუ ამ ჟამად რამდენად საჭიროა ჩვენთვის კარგად მოწყობილი და ჩვენის ცხოვრების ნიადაგზე დამყარებული სამეურნეო სასწავლებელი. ამ აზრის მიხედვით გამგე კომიტეტი შეუდგა გამორკვევას, თუ როგორ უნდა გადაკეთდეს აწინდელი სათავად-აზნაურო სკოლა და რა ხარჯს მოითხოვს იგი ახლად გადაკეთებისათვის. ამ საგანზე არა ერთხელ ჰქონია კომიტეტს სჯა და ბოლოს დროს მიანდო თავის წევრებს წარმოედგინათ ამ საგანზე თავიანთი მოსაზრებანი. ბ-ნებმა ვაჩნაძემ და ცხვედაძემ წარმოადგინეს თავიანთი პროექტები მომავალს სამეურნეო სკოლაზე. ამ პროექტების განსახილველად გამგე კომიტეტმა მოიწვია სპეციალისტები და მოახდინა რამდენიმე კრება. დიდის სიამოვნებით მიიღეს მონაწილეობა ამ კრებებში ბატონებმა ს. ხატისოვმა, ჯორჯაძემ, ხოჯაევმა, ოსტაპოვიჩმა, ოსიპოვმა, შამანოვსკიმ, ბაქრაძემ, წინამძღვრიშვილმა, გეესკემ და სხვათა. ბბ. ვაჩნაძისა და ცხვედაძის პროექტების გარჩევას და ამათ თაობაზე ბასს გამგე კომიტეტმა სპეციალისტების თანადასწრებით მოანდომა სამი კრება. ამ კრებებში უფრო ნათლად გამოირკვა შემდეგი: ა) ჭეშმარიტია, რომ ჩვენის ცხოვრების მდგომარეობა თხოულობს ჩვენგან ვრცელ სამეურნეო სასწავლებელს; ბ) სამეურნეო სასწავლებელს მხოლოდ მაშინ შეუძლიან შეასრულოს წადილი, მოახდინოს ცვლილება ჩვენის ეკონომიურის ცხოვრების მიმდინარეობაში, დააკავშიროს წარმოების სხვა ასპარეზზე, თუ ეს სამეურნეო სასწავლებელი იქნება ყოველისავე მხრით მოწყობილი, ისე, როგორც ამ ჟამად შემოღებულია წარჩინებულს სახელმწიფოებში. უამისოდ ადვილად გარდაიქცევა იგი უსარგებლო სასწავლებლად; იმის მოწაფეებს ბევრი ეცოდინებათ წიგნებიდამ, მაგრამ საქმეშია უსარგებლონი იქმნებიან; გ) ჯერ-ჯერობით სრულიად საკმაო იქმნება დავაფუძნოთ სამეურნეო საშუალო სასწავლებელი; დ) ყოველისავე საშუალო სამეურნეო სასწავლებელს, რიგიანად მოწყობილს, მოუნდება ხარჯად წელიწადში არა ნაკლებ 40,000 მ., იმ ხარჯის გარდა, რომელიც საჭირო იქმნება სკოლის თავდაპირველად მოწყობისათვის. ყველა ამის მიხედვით გამგე კომიტეტმა თავის კერძო კრებაში გადასწყვიტა: რადგანაც საზოგადოებას ამ ჟამად არა აქვს ღონისძიება რიგიანი საშუალო სასწავლებელი გამართოს, ამისათვის ეს რთული საგანი გადადებულ იქმნას იმ დრომდის, მინამ არ გამოჩნდება რაიმე სახსარი ანუ მინამ თავად-აზნაურობისაგან გაწერილი სკოლის ფული არ მოიკრიბება; ე) ჯერ-კი უნდა დავსჯერდეთ იმ სასწავლებელს, რომელიც ამ ჟამად გვაქვს, მხოლოდ ამ სასწავლებლისათვის ვითხოვოთ ის უფლებანი, რომელნიც მინიჭებული აქვს სახელმწიფო სასწავლებლებს, თუ ამ უფლებათა მოპოვება არ გაუქმებს ჩვენს ზოგიერთს უფლებებსა. ამ გადაწყვეტილების ძალით გამგე კომიტეტმა შეადგინა თავი და თავი პირობანი და კერძოდ გამგე კომიტეტის თავ-მჯდომარემ, ბ-ნმა გ. ქ—მემ მაჩაბელიშვილმა, გარდასცა სამოსწავლო ოლქის უფროსს იმ აზრით, რომ წინათვე გაგვეგო, თუ ეს საქმე რამდენად მოსახერხებელია. მაგრამ პასუხი ამ საგანზე ვერ მივიღეთ და ამიტომ ჯერ არა-გადაწყვეტილა-რა.

მეორე საგანი, ღირსი საზოგადო კრების ყურადღებისა, არის ქალებისათვის სასწავლებლის დაარსება. ამ სამის კვირის წინად თავ-მჯდომარეს ამხანაგმა, კნეინა მარიამ ვახტანგის ასულმა ჯამბაკურიან-ორბელიანისამ, წერილით მოახსენა გამგე კომიტეტს, რომ საქალებო სასწავლებლების კარებები დახშულია ქალების მომეტებულ ნაწილისათვის, რადგანაც სწავლის მსურველნი ბევრნი არიან და თავისუფალი ადგილები-კი მცირეა სასწავლებლებში, რის გამოც მრავალი ქალი რჩება სწავლის გარეშე. ამ სამწუხარო გარემოების მიხედვით ცხადია, თუ რამდენად საჭიროა დაარსდეს ქალაქში ისეთი სასწავლებელი ქალებისათვის, რომელიც შეეფერებოდეს ჩვენის ცხოვრების მოთხოვნილებასა და საჭიროებას. რამდენსამე ქალსაც, ბძანებს თავ-მჯდომარეს ამხანაგი, მოუვიდა აზრად მოემართოთ გამგე კომიტეტს, რომ მან განიხილოს ეს ფრიად საჭირო საგანი და ამ საქმის აღსასრულებლად მოგვანდოს ღონის-ძიების მოპოვება. დიდის კმაყოფილებით მიიღო გამგე კომიტეტმა ამ გვარი მოხსენება, იქონია სჯა და სთხოვა თავ-მჯდომარეს ამხანაგს, რომ მან შეადგინოს ამ საქმისათვის გულ-შემატკივარ საზოგადოების წევრთა ქალთაგან კომისია როგორც ღონისძიების საძიებლად, ისე საზოგადო პროგრამის შესადგენად მომავალის საქალებო სასწავლებლისათვის. კომისია უკვე შემდგარია და მალე დაიწყებს მოქმედებას. თავის დროზე მოხსენდება საზოგადო კრებას ამ კომისიის მოქმედების ანგარიშიცა.

—

ამ ანგარიშთან უდგენს გამგე კომიტეტი საზოგადო კრებას ფულის ანგარიშსაცა.

## უცხოეთი

**ავსტრი-ვენგრია.** ავსტრი-ვენგრიის მთავრობა უარ-ჰყოფს, ვითომ ავსტრიაშიაც განზრახვა ჰქონდესთ დიდი ბაჟი შემოიღონ რუსეთიდამ მოტანილის საქონლისათვის.

— იმპერატორი ფრანც-იოსები აპირობს იტალიის მეფის ჰუმბერტის ნახვას. დაბრკოლება ის იყო აქამდე, რომ ადგილი ვერ ამოარჩიეს, სად შეჰხვედროდნენ ერთმანეთს იმპერატორი და მეფე.

— გერმანიის საერო საგალობელი «Wacht am Rhein», რომელსაც ავსტრიაშიაც მღერიან, ვითომ ნიშნად იმისა, რომ ავსტრია და გერმანია მეგობრები არიანო, როგორც ესთქვით, აღკრძალა მთავრობამ და ამას გმრდა ჯარიმა დააწესა იმათთვის, ვინც ამ საგალობლის თქმას გაჰბედავს საჯაროდ.

**გერმანია.** „ჩრდილო-გერმანიის საყოველთაო გაზეთი“ ეკამათება რუსულს გაზეთს „Моск. Вѣд.“-ებს და

---

გათ ოფოთლებს. ხალხიც ბევრი შეგროვდა საყდარზე. ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებლები ქალიან-კაციანა სულ ოფოთს მიაწყდენ. შარა გზები, გზა წვრილები და ბილიკები ქვეით-ცხენოსნებით იყვენ აჭრელებული. გლეხის მანდილოსნები წითელ-ყვითელ ტანისამოსში გამოწყობილები ისხდენ ცხენებზე და წინ ნათესავები ქვეითათ მიუძღოდენ. ზოგს მათგანს ძუძუ მწოვარი ბავშვი ჰყავდა ატატებული, ზოგს შვიდის წლის ქალი, ან ვაჟი ცხენს უკან ჰყავდა შემოსმული, ზოგს ცხენს უკან გაფუღქნული ღორი ეკრა. ესეც, რასაკვირველია, მოყვრის ძღვენი იყო. ზოგს გლეხს ცხენის სადავე ეჭირა და ცოლს წინ მიუძღოდა, თვითონ საესე ხეირჯინი ჰქონდა მხარზე გადაგდებული ყოველ ნაირი საჭმელისით და საგზლით: იმაში იყო შოთები, ერთი დოქი ღვინო, მოხარშული ქათმები, კვერცხები და სხვა.

აი, აგერ, მოშორებით ერთი გროვა შვენივრათ მორთული ქალები და კაცები ცხენებს მოათქიფინებენ. რახტიანი ცხენები ლამაზ მანდილოსნებისა ვეცხლის ფართლებს მოარახუნებენ. ესენი იყვენ დამშვენებელნი შეძლებულის მასპინძლისა. ნაწირევს ხალხი გაიფანტა სხვა-და-სხვა ოჯახებში. ცოტას ხანს იქით მთელი ოფოთა გაცოცხლდა. ყოველს ოჯახში შეიქნა ლხინი, სიმღერა და თოფის სროლა.

ოთარისა და როსაფის მასპინძელს ბევრი სტუმრები ჰყავდა. იქ კარგი ნადიმიც იყო.

მზე გადიხარა დასავლეთისკენ. სტუმრები შეღვინიანდენ. დიდი ჯიხვის ყანწები ჩამოატარეს. ოთარმა დალია ერთი ჯიხვის ყანწი და დაულია როსაფსა. ეს რადგან ოთარზე გულ-ნაკლულათ იყო, გაჯინდა, აღარ დალია. ოთარმა შეურაცხყოფათ მიიღო და ქინქლი ასტეხა. შეიქნა ხმაურობა. ბოლოს ოთარმა შესძახა:

— დალიე, თორემ კისერში ჩაგასხამო.

— შენც შეგარცხვინა და ისიც, ვისთვისაც შენ კისერში ღვინო ჩაგესხას!—უპასუხა როსაფმა.

— დალიე, თორემ წელებს აგათრევინებ!—განუმეორა ოთარმა.

— აბა, მობძანდი, შე წუწკო,—შესძახა როსაფმა და ხანჯალზე ხელი დაიდვა:—მე შენ იმისთანები ნუ გგონივარ, ღამით საქათმოში და ქვევრების თავზე რომ დაგყავს.

— როგორ თუ ქვევრების თავზეო?.. და ხანჯალ-ამოღებული გადუხტა როსაფს.

მასპინძელმა სტაცა ხელი ოთარს და შეაჩერა. იმას წამოეშველენ სხვა სტუმრებიცა.

— გამიშვით! იძახოდა გაცოფებული ოთარი.

— გამოუშვით, ეგ მხდალი, ქათმების ქურდი!—უპასუხებდა როსაფი.

ატყდა დიდი ალიაქოთი. ოთარი ჯიგლიგით გამოიყვანეს გარეთ და ხანჯალი ისევ ჩააგებინეს. ის კიდევ დიდხანს იღანძღებოდა მასპინძლის ეზოში. ბოლოს გაჰყვა სხვებს თემში.

სალამოს ჟამი მოიწია. თემში მთელი ოფოთა ამ ჩხუბზე ლაპარაკობდა. საყდრის გალავანი ისევ ხალხით გაივსო. ზოგ ალაგას ჯირითობდენ, ზოგგან ფერხული დაებათ. ზოგგან მანდილოსნები შეგროვილიყვენ და ლეკურს თამაშობდენ. ამ გვარი მხიარულება თან-და-თან მატულობდა. თემობის ღრეობა და თოფის სროლა ოფოთის საყდრიდამ შორს ვრცელდებოდა.

დღე და ღამე გაიყარა, მაგრამ როსაფის მასპინძლისას ჯერ კიდევ სუფრის აღებას არ აპირებდენ, თუმცა როსაფს ჩხუბს შემდეგ ბევრი აღარ უსვამს. ის-კი არა, უფროც გამოფხიზლდა. მისი სუფრულის მოძახილი ქვემო ქალებამდის ისმოდა. ამ დროს უეცრად შემოვარდა ერთი კაცი და დაიძახა: ზურუკეთში ვინღაც დაიწვაო, გარგვალებული ცეცხლი მოჩანსო. ამ ამბავმა ერთბაშათ წამოჰყარა ზეზე სტუმრები. ყველაზე უმალ როსაფი გამოვარდა გარეთ. ზურუკეთს რომ გახედა, იფიქრა: „ვაი თუ ჩემი სახლი იწვოდესო!“ მაშინვე მოახტა ზურგზე ცხენს და დაეშვა ზურუკეთისკენ. ჩამოირბინა თუ არა სერი, იჭვი არ ჰქონდა, რომ მისი სახლი იწვოდა. მან გადაჰკრა ცხენს მათრახი და ცოტას ხანს იქით შევარდა თავის ეზოში. იმას მწუხარებით გული აუტოკდა, როცა დაინახა თავის ცოლშვილი, თითქოს მტრისაგან დაფორიაქებული. მათმა ქვითინ-კივილმა კურცხლები მოადინა თვალებზე. მისი ბარგი-ბარხანა სულ ეზოში იყო მოქიაქებული. აქ ზანდუკი ეგდო გამტერეული, იქ ქვეშსაგები, ხალები და ბალიშები ეყარა უპატრონოთ. საზამთროთ მომზადებულს თხილს, კაკალს და წაბლს გაჰქონდა ცეცხლში ტკაცინ-ტკაცინი. ხალხი ჭიანჭველივით ირეოდა სახლს გარშემო. მაგრამ მაინც ვეღარა ეშველებინათ-რა. მხოლოდ დრო გამოშვებით ჩვენი ნაცნობი აზნაურები, ზურგ-დატვირთულები, ხან ძველს სკივრს გამოიტანდენ, ხან ფარდაგებს და ჭილოფებს, ხან ქალის ტანთ საცმელებს. როსაფი მადლობას ეუბნებოდა მათ. ის ცდილობდა, იქნება რამე ნაირათ ნახევრად დამწვარი კედლები კეტებით წაექციათ, რომ ალი ძირს დაშვებულიყო და ნაკვერცხლები სხვა სახურავებზე მაინც აღარ გადაცვენილიყვენ. ამ ყოფით გასტანეს შუაღამემდის. ცეცხლი დანელდა. ნაყმევებმა დაუწყეს გაფორიაქებულს საოჯახო ნივთებს ბოსლის ოთახში შეზიდვა. როსაფის სახლობას მამლის ყივილამდის არ დაუძინიათ.

—

ცეცხლმა ოფოთის მცხოვრებლებს მარიამობა ჩაამწარა. ნახევარი სტუმრები ზურუკეთისკენ გადიხვეწენ. ზურუკეთლები ფიქრობდენ, არა ჩემი სახლი იწვისო და არა ჩემიო. ვინღა მოიცლიდა ოფოთას. აღარც სიმღერას, აღარც მოლხენას იმ ღამეს ხალისი აღარ ჰქონებია ოფოთაში.

მეორე დღეს წირვის დროს ოფოთაში ოთარს გამოეღვიძა ნათლიმამისას და თვალების ფშვნეტა დაიწყო. ეტყობოდა მარიამობა ღამეს იმას აქ ძალიან დაელია. ნათლიმამ კიდეც უსაყვედურა: რატომ ჩემთან არ წამოხვედი, რა გინდოდა როსაფის მასპინძლისასო. სოფლის სადილობა წამოიწია. ოთარი ზოზმანით ადგა ზეზე და ხელებ-დაკაპიწებული წყაროს წყალზე მივიდა. ის იქვე ნათლიმამის ეზოში ღარზე გადმოჩუხჩუხებდა. სხვა სტუმრებიც მოგროვდენ იქ ხელ-პირის დასაბანათ.

— ბიჭო, წუხელი, მგონია, ვინღაც დამწვარა ზურუკეთში?—იკითხა ერთმა.

— ასე ამბობენ, როსაფს გაჩენია ცეცხლიო,—თქვა მეორემ.

— ამბობენ-კი არა, ნამდვილათ როსაფი დაუწვავთ,—თქვა მესამემ. ეს არის, ახლა მოვიდა იქიდან ბიჭი და იმან ილაპარაკა.

— მის მეტი ჯავრი ნუ მოგეცა!—ჩაილაპარაკა თავისთვის ოთარმა, დადგა ღარის პირდაპირ და რამდენმეჯერ შეისხაფუნა პირზე ცივი წყაროს წყალი.

გ. წერეთელი

(შემდეგი იქნება)

ამტკიცებს, რომ გერმანია-კი არ არის დავალებული რუსეთისაგან, არამედ რუსეთია დავალებული გერმანიისაგანაო.

— იმპერატორმა ფრიდრიხმა უბოძა პროფესორს რუდოლფ ვირხოვს ორდენი შავის არწივისა ვარსკვლავითურთ. ზოგი ამბობს ამაზე, რომ ეს ამბავი ლიბერალების გამარჯვებას მოასწავებსო, ზოგნი-კი ამტკიცებენ, რომ დემოკრატიისათვის, რომელიც საშობლოს კეთილდღეობაზე ჰზრუნავს, ჩინები და ორდენები ვერაფერი ჯილდო არისო.

— 12 მაისს შარლოტენბურგში იქორწინეს პრინცმა ჰენრიხმა, იმპერატორის ფრიდრიხის მეორე შვილმა, და პრინცესა ირინემ. დილა ადრიანვე დაიძრა ხალხი ბერლინიდამ შარლოტენბურგისკენ. გზა-ტკეცილი მორთული იყო ბაირაღებით. ეკკლესიაში, ქორწინების დროს, ბრძანდებოდა თვით იმპერატორი ფრიდრიხიცა. როცა ქორწინება გათავდა, ქორწილის ხალხი გამოვიდა ცას ფერც დარბაზში და აქ მიულოცეს ბედნიერება დაქორწილებულთ.

ქალებს ეცვათ თეთრის ფერის კაბები, ოქრომკედითა და ვერცხლის ფერ ძაფით ნაკერი. იმპერატრიცა ვიქტორიას ეცვა აბრეშუმის კაბა მარგალიტის ფერისა. წინა კალთა კაბისა და ზედა-ტანი ძვირფასად ჰქონდა მორთული. ზედა-ტანის ზემო ნაწილს უხვად ეყარა ბრლიანტები. გვირგვინიც მოჭედილი იყო ძვირფასის თვალ-მარგალიტითა და საუცხოვო ბრლიანტებითა. მის უდიდებულესობას ვიქტორიასაო, ამბობს გაზეთი „National Zeitung“-ი, ჰქონდა გაკეთებული ლენტი და ორდენი შავის არწივისა, მოჭედილი აგრეთვე ბრლიანტებითაო.

სტუმრებმა ისადილეს. სადილზე მემკვიდრე პრინცმა აღლევრძელა ახალი მეფე-დედოფალი თავისის მამის მაგიერ. სადილს შემდეგ ახალად ჯვარდაწერილნი სხვა ქვეყანაში გაემგზავრნენ.

ინგლისი. გლადსტონი კიდევ იმედს არა ჰკარგავს, რომ ირლანდიას ეშველება ოდესმე. დიდი მოხუცი გადახალისდება ხოლმე, როცა ამ დიდს საქმეზე დაიწყებს ლაპარაკს და ახალგაზდა ჭაბუკივით ამხნევებს თავის მომხრე ლიბერალებს: „არას დროს ლიბერალთა დასიო, უთქვამს ამას წინად კიდევ გლადსტონს,— ისე მტკიცედ არა ყოფილა დამყარებული ჭეშმარიტს საფუძველზე, როგორც ეხლა. ლიბერალთა დასს არა დროს არ უმუშავნია უფრო დიდის საქმისათვის, ვიდრე ირლანდიის საქმეა. იგი დასი ილვწვის ქვეყნისათვის და ამიტომ ფრიად დიდი საგანიც ამოუღია ნიშნად. მაინც რა უნდა, რა სწადიან ამ დასსა ირლანდიისათვის, იმ ირლანდიისათვის, რომელიც არის დღეს გასაღები ყოველ საპოლიტიკო საქმეებისა ჩვენ'მი და საჭე, გზის მაჩვენებელი საპოლიტიკო გემისათვის? ჩვენს დასს უნდა, ჩვენს დასს სწადიან მშვიდობა მისცეს შეშფოთებულს ქვეყანას, განამტკიცოს ერთიანობა განაწილებულის ქვეყნისა, დახმარება გაუწიოს დიდის ბრიტანიის დიდს ინტერესებს და აღადგინოს შებღალული სახელი ინგლისისაო“.

## წვრილი ამბები

პარიჟის გაზეთებში შემდეგი ამბავია დაბეჭდილი ბერლინიდგან: «თუ ვინიცობაა იმპერატორი ფრიდრიხი განიკურნა სენისაგან, იმპერატრიცა ვიქტორიას განზრახვა აქვს ფარულად ინახულოს საფრანგეთის მსოფლიო გამოფენა 1889 წელს.

—„L'Univers“-ში ჩამოთვლილია ებრაელთა რიცხვი ქვეყნის სხვა-და-სხვა ადგილას, რუსეთს გარდა. სულ ებრაელები 10 მილიონამდე არიან. ინგლისში 100,000 ებრაელია— 70,000 საკუთრივ ლონდონში, 1,500 შოტლანდიაში და 1,000 ირლანდიაში; საფრანგეთში 70,000 ებრაელია—საკუთრივ პარიჟში 40,000 კაცი; გერმანიაში— 600,000, ამერიკაში — 500,000, სპარსეთში — 50,000, ინდოეთში— 15,000. ცოტა ებრაელი არ არის დასახლებული აგრეთვე ბელგიასა, ჰოლანდიასა და შვეიცარიაში, აბისინიასა, აფრიკის ჩრდილოეთ ნაწილსა და პალესტინაში.

— საშინლად სასტიკი იყო თურმე ჩაპის ცენზურა სათეატრო პიესების მიმართ. ერთხელ ერთმა დრამების მწერალმა ამ ცენზურას თავისი პიესა გადასცა. პირველი სცენა პიესისა სწარმოებდა სასტუმროში. ვიღაცა შედის ამ ალაგს და ბივშტეკსა თხოულობს. როცა ხელთ-ნაწერი დაუბრუნებიათ ცენზურიდგან ავტორისათვის, ზემოხსენებული ადგილი წითლის ყარანდაშით ნიშანგასმული ყოფილა და შემდეგი წარწერა ჰქონია იმ ალაგს: „თუ პიესა წარმოდგენილი იქნება რომელსამე პარასკევს, არტისტმა ბივშტეკსი კი არ უნდა მოითხოვოს, უნდა სთქვას: «მსახურო, ერბო-კვერცხი მომიტანეო».

— საფრანგეთის „Grand Opéra“ ს მომღერალ ქალს, ელენე ლაროშს, ამას წინად ლატარიაში ჰრგებია 80,000 მანათზე მეტი. ამას შემდეგ ამ ქალს თავის მეგობრებისათვის უთქვამს, რომ არ ვიცოდი რაზედ დამეხარჯა ამოდენა ფული, ჩემს საყვარელს ჩემს მაგიერ ეხლა ეს ფული გაუხდა საზრუნავი და თავში სახეთქებელი საქმე და ამიტომ სულ ერთიანად მონაგები ობოლთა თავ-შესაფარს სახლს შევწირე: იქ უფრო სასარგებლოდ გამოიყენებენ, მე რად მინდოდაო.

— ამერიკაში, ქალაქს პერუში, ცხრამეტის წლის ყმაწვილს ქალს, იულია გრინს, დედათა სასწავლებლის მასწავლებელს, დიდი გმირობა გამოუჩენია. ამას წინად, გაკვეთილის დროს, სასწავლებელში შევარდნილა უშველებელი ცოფიანი ძაღლი და სდომებია ერთ-ერთის მოსწავლე ქალის დაგლეჯა, ხოლო მასწავლებელს ქალს წამოუვლია სახაზავისათვის ხელი, შეჰბრძოლებია ძაღლს და მოსწავლეებისათვის-კი უთქვამს, რომ ფანჯრებიდგან გადახტით და თავს უშველეთო. ცოფიანს ძაღლს სულ ერთიანად შემოუფხრეწია ყმაწვილის ქალისათვის ტანსაცმელი და ყელის გამოდადრაც სდომებია, ხოლო ყმაწვილს ქალს დიდის მოხერხებითა და უნარით აუცდენია ყოველთვის გაცოფებულის ძაღლის დამგერება. ის-ის იყო იღლებოდა, ქანცი სწყდებოდა თურმე ყმაწვილს ქალსა, რომ მეზობლები მოშველებიან იულია გრინს და მოუკლავსთ ძაღლი. ქალაქის მცხოვრებთ ხელ-მოწერით ფულ-
[illegible]

ლის მამას ამ მასწავლებლისათვის მშვენიერი მატარებელი ცხენი უფეშქაშებია.

— ამერიკის გაზეთები შემდეგს საოცარს ამბავს მოგვითხრობენ. „ქ. ჩიკაგოში ერთს დედაკაცს ისეთი მიღეული ყმაწვილი ეყოლა, რომ სულ ერთს გირვანქაზე მეტს არ იწონიდა. ყმაწვილი ასეთი გამოვიდა და მშობლები-კი ძალიან ტანოვანნი და სრულნი არიანო“.

— საზღვარ-გარეთის სტატისტიკოსნი ძალიან თვალ-ყურს ადევნებენ ეხლა მაგარ სასმელებით ვაჭრობის მოქმედების საქმეს. მაგალითებრ, უკვე გამოუანგარიშნიათ, რომ ყველაზედ მსმელი ერი ბელგიაა; ბელგიას შემდეგა საფრანგეთი ყველაზედ მსმელი ერიო. ამ ქვეყანაში ყოველს 88 კაცზე 1 სასმელების დუქანი მოდის, ხოლო ზოგიერთ დეპარტამენტებში-კი 46 კაცზე—ერთი სასმელების დუქანი. ბერლინში ერთი სასმელების დუქანი მოდის 167 მცხოვრებზე, ჰამბურგში—71 მცხოვრებზე, ავსტრიაში —189 კაცზე, შვეციის ქალაქებში— 704 კაცზე, ხოლო სოფლებში 13,409 კაცი ერთის სასმელების დუქნითა კმაყოფილდება.

## დეპეშა

20 მაისი

პეტერბურგი. ამიერიდგან სახელმწიფო ბანკი შემდეგს სარგებელს აიღებს: სარგებლიან ქაღალდებით გატანილს ფულზე—$6^1/_2$%. განსაკუთრებულს ანგარიშებზე, რომელიც სარგებლიან ქაღალდებით არის დაწინდული—$7^1/_2$%, ქაღალდის ფულის განაღდებისათვის ოქროთი—2% წლიურად. ხოლო სხვა სარგებლები შეუცვლელად დარჩება.

დღეს მიდის საზღვარ-გარეთ სამის თთვით გერმანიის ელჩი შვეინიცი.

პარიჟი. გარეშე საქმეთა მინისტრმა გობლემ, როცა ტისსას სიტყვაზე იყო ლაპარაკი, სთქვა: საფრანგეთი თავ-ის თავს შეურაცხყოფილად ვერ ჩასთვლის იმის გამო, რომ ტისსას ურჩევია ვენგრიელებისათვის, საფრანგეთის მსოფლიო გამოფენაში მონაწილეობას ნუ მიიღებთო და გამოუცხადებია, რომ საფრანგეთის მთავრობა თავისს სტუმრებს ვერ დაიცავს და დაიფარავს, თუ ვინიცობაა მოხდა რამეო. ვენაში მყოფ საფრანგეთის ელჩს ამის გამო უკვე ლაპარაკი ჰქონია გრაფ კალნოკისთან და გრაფ კალნოკს გამოუცხადებია: დიდად ვსწუხვარ, რომ ეს ამბავი მოხდაო; მე მსურს საფრანგეთთან მეგობრული დამოკიდებულება ვიქონიოვო. შემდეგში ასეთივე აზრი გამოუთქვამს ტისსასაც. დასასრულ გობლეს უთქვამს, რომ საფრანგეთი მშვიდობიანობას არის მიწადინებული, რის დამამტკიცებელ საბუთადაც თითონ ეს გამოფენაა და თუ ვინმე მოიწადინებს ჩვენს ენებასა და ზიანს, ჩვენ წინააღმდეგობის გაწევას შევიძლებთო.

ბერლინი. დღეს, დილის $10^3/_4$ საათზედ, იმპერატორი, იმპერატრიცა, მემკვიდრე პრინცი და ექიმები მეკენზი, ვედენერი და გოუელი წავიდნენ გემით პოტსდამში. ქალნი-პრინცესანიც პოტსდამშივე წავიდნენ ცხენებით.

21 მაისი

პეტერბურგი. გუშინ მის უდიდებულესობის თანადასწრებით ბალტიის გემთა-საშენებელს ქარხანაში დილის ადრით ჩაუშვეს წყალში კრეისერი „Память Азова“ და დაიწყეს აგება საიმპერატორო იახტისა „Полярная Звѣзда“. კრეისერის კეთება დაუწყიათ 1886 წელსა.

გამოცხადებულია შემდეგი დადგენილობა მინისტრთა კომიტეტისა: ნება-დართულ არს სამის თთვის განმავალობაში, 1-ს ივნისიდგან, გაყიდონ წუმწუმები, რომელიც საწყობებში აწყვია უბანდეროლოდ, იმ პირობითკი, რომ სადაც აღმოჩნდება წუმწუმა, რომლისათვის ხუთას მანეთამდე აქციზი უნდა გადაიხადონ, აქციზი შეტანილ უნდა იქმნას 1 ივნისამდე. იმ საწყობებში, სადაც წუმწუმა 500 მანეთის აქციზზე მეტი იქნება, წუმწუმას აქციზი უნდა გააწყრონ და უნდა მიეცეს აქციზის უწყების მხედველობის ქვეშ. აქციზი-კი უნდა შეიტანონ მაშინ, როცა წუმწუმას გამოიტანენ. უბანდეროლო ყუთებზე აქციზის უწყებამ ბეჭედი უნდა დააკრას. 1-ს ენკენისათვის რაც საეჭვო სახლებში წუმწუმაა, ყველას ბანდეროლი უნდა დააკრან, რაც პირველ ივნისს შემდეგ წუმწუმა დარჩება საეჭვო სახლებში, შეიძლება უბანდეროლოდ დარჩეს. აქციზი უნდა იხადონ ყუთზე კი არა, არამედ იმის მიხედვით, რამდენი წუმწუმა იქნება თითო ყუთში; ყოველს 75 წუმწუმაზე $^1/_4$ კაპ. უნდა იანგარიშონ.

გამოცხადებულია ფინანსთა მინისტრის ინსტრუქცია წუმწუმის აქციზის თაობაზე და ფოსფორის ვაჭრობის შესახებ.

გაზეთებში ამას წინად სწერდნენ, ვითომ უმაღლესს სასწავლებლების მოსამსახურეებში ზოგნი უნდა გამოცვალონ და ზოგნი ახალნიც უნდა დანიშნონო. ეხლა საერო განათლების სამინისტრო იუწყება, რომ ეს ხმა ტყუილიაო.

პეტერბურგის ბირჟა, 20 მაისი

| | მყიდველნი მან. კ. | გამყიდველნი მან. კ. | გაიყიდა მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — „ | — „ | 9 40 |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | — „ | $186^3/_4$ |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — „ | — „ | 1 40 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი | — „ | — „ | $272^1/_2$ |
| —მეორისა | — „ | — „ | $243^3/_4$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზო გადოებისა | — „ | — „ | — „ |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7396.
ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1888 წლის ზედ-ნადებია—25.
მაისი 31 დღით არის.

22 დღე კვირა. წამება ვასილისკასი. კათოლ. იულიასი და ელენესი. სომეხ. წმ. ჯვარის გამოჩენა იერუსალიმში. მუსულ. მე-24 რიცხვი თთვისა რამაზანისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57. ტფილისში მზე ამოდის 4—27, ჩადის 7—30. მთვარე 24 დღისაა.

23 დღე ორშაბათი ღირსისა მიხეილისა და ევფროსინესი. კათოლ. ფრესცენციასი. მუსულ. მე-25 რიცხვი თთვისა რამაზანისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუადღე 11—58. ტფილისში მზე ამოდის 4—26, ჩადის 7—30. მთვარე 25 დღისაა.

### გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

15 მაისიდამ 1 ივნისამდე

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | . 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. | . 3 | „ |
| „ 2 „ | $2^1/_2$ | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2 — | $3^1/_2$ | „ |
| „ „ 3 „ | 3 | „ |
| ჯვარის მამის პურის ღვავში | | |
| 1-ლის ხარისხისა | . 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა | . 4 | „ |
| მე-3 — | . | „ |
| ძროხის ხორცი | . 9 | „ |
| „ 2 „ | 8 | „ |
| სუკი | . 16 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 10 | „ |
| ღორის ხორცი | „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდან: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკეობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სამხრეთიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით, ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკეობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## განცხადებანი

მასწავლებელს ქალს,

მოსკოვში სწავლა-დამთავრებულს, ჰსურს აიყვანოს ყმაწვილები, ქალნი თუ ვაჟნი, სხვა-და-სხვა სასწავლებელში მოსამზადებლად. შემიძლიან ჩემთანაც ვიყოლიო მოსამზადებელი ყმაწვილები, ანუ თვით მე გავუვე სოფლად ყმაწვილების მშობლებს. ვასწავლი ფრანგულსაცა და გერმანულსაც. ჩემი ადრესი: 1-ая Параллельная улица, д. Ростомбегова, № 6. იკითხონ ალექსეევის ქალი.

(2—1)

Доз. ценз. Тифлисъ, 21-го мая 1888 года. Типографія „Кавк. Обозр.“ (Н. И. Френкель) რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე